ამომრჩევლის სამახსოვრო

2013 წლის 27 ოქტომბერს ტარდება საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები

საარჩევნო უბანზე მისვლისას თან იქონიეთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა/ID ბარათი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე - დევნილის მოწმობა), ხოლო თუ ხართ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე, თან იქონიეთ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქის პასპორტი.



ხმის მიცემის პროცედურები:

- ნაკადის მომწესრიგებელთან გაიარეთ მარკირების შემოწმების პროცედურა.

ყურადღება!
თუ აღმოჩნდება, რომ გაქვთ მარკირება, არ მოგეცემათ კენჭისყრის შენობაში შესვლისა და კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.

- რეგისტრატორთან გაიარეთ მარკირების პროცედურა.

ყურადღება!
მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.

- ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ ხელმოწერით დაადასტურეთ ბიულეტენის მიღება.

- მიიღეთ რეგისტრატორის მიერ ხელმოწერილი და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული ბიულეტენი.

- შედით ფარული კენჭისყრის კაბინაში, გააკეთეთ არჩევანი, შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი პრეზიდენტობის კანდიდატის რიგითი ნომერი და გადაკეცეთ ბიულეტენი ისე, რომ არ ჩანდეს, თუ ვის მიეცით ხმა.

- კაბინიდან გამოსვლის შემდეგ, საარჩევნო ყუთთან მდგომი მაგიდიდან აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი მოათავსეთ მასში.

- სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში.

- ხმის მიცემის შემდეგ დატოვეთ საარჩევნო უბანი.